საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/55 „ 11 „ იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის მ. ცაცუას რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესებაზე უარის თქმის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებისა და 50-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2017 წლის 16 ოქტომბერს გამოცხადებული მოსამართლეობის კანდიდატების შესარჩევი კონკურსის შედეგების საფუძველზე:

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მანუჩარ ცაცუა არ იქნეს გამწესებული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ახალგორის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მცხეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობებზე უვადოდ.

2. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა №32) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მეშვეობით (მდებარე: ქ. თბილისი, ბოჭორმის ქუჩა №12) გადაწყვეტილების მოსამართლეობის კანდიდატისათვის გადაცემიდან 2 კვირის ვადაში.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე